ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4832206

ნომერი: AR1726225

თარიღი : 24.12.2019

გაცემის თარიღი : 24.01.2020

გაცნობის თარიღი : 24.01.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისის,ნინო რამიშვილის ქუჩის N1 ჩიხი1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაკარიძე პ/ნ 21001001693
- თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1726225 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი მაკარიძემ და მოითხოვა, ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის ქუჩის N1 ჩიხი1 მიშენებული-დაშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან ზემოხსენებულ №AR1726225 განცხადებაზე

თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2019 წლის 27 დეკემბრის № 4806433 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 10 (ათი) დღის ვადაში წარმოდგენა, რაც არ განხორციელდა. ასევე, მოთხოვნის ტექსტით ისევ ითხოვს უნებართვოდ აშენებული კედლის ლეგალიზებას ხოლო ნომენკლატურა არჩეულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზებაზე. ისევ არ არის წარმოდგენილი ობიექტის კარგად აღქმადი ფოტოსურათები, პანორამული ხედებით სალეგალიზებო ობიექტის მონიშვნით; ისევ არ არის წარმოდგენილი მშენებლობის 2007 წლამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი; ისევ არ არის წარმოდგენილი იმ ფართის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზედაც მოთხოვნილია ობიექტის ან/და მიშენების ლეგალიზება. ისევ არ არის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი, კანონიერი და შემდგომში უნებართვოდ მიშენებული ობიექტის (თუ ფართების) გამოყოფით, საკადასტრო საზღვრების დატანით).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, №AR1726225განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე გიორგი მაკარიძის განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.